2 ქულა “ქაირათთან”

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის სტადიონი. 17 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “ქაირათი” (ალმა–ათა) 2:1 (0:0).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, ხიზანიშვილი, გუცაევი, ყიფიანი, ჟვანია (ჩელებაძე).

“ქაირათი”: უბიკინი, შადიევი, ჩუხონცევი, ჯუმანოვი (სტუკაშოვი), ილინი, ნიკოტენკო, შოხი, გლადილინი, შტრომბერგერი, მასუდოვი (მოსკოვჩენკო), ფეხლევანიდი.

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

მატჩს დაესწრო 48 ათასი მაყურებელი.

ყველაფერი, რაც ახლა თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებს ეხება, გამიზნულია როტერდამის “ფეიენოორდთან” განმეორებითი ნახევარფინალური მატჩისთვის. დინამოელთა სამზადისი, მათი საბრძოლო მზადყოფნა და მაყურებელთა ემოციებიც ისახავს მხოლოდ ერთ მიზანს – 22 აპრილს მატჩის სასურველი შედეგით დამთავრებას.

თვით გუშინდელი მატჩიც არსებითად ჩვენი გუნდის მზადების თავისებურ გენერალურ რეპეტიციად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ცდებოდა ის, ვინც ფიქრობდა, რომ საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ალმა–ათას “ქაირათთან” იოლი “გასეირნება” იქნებოდა. ესაა შეთამაშებული, ძლიერი, გაუტეხელი ნებისყოფის გუნდი, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ წლევანდელ გათამაშებაში ალმაათელებს ჯერ არც სტუმრად, არც შინ არ წაუგიათ მატჩი და არც გუშინ აპირებდნენ იოლად თამაშის დათმობას.

თბილისელებმა გარკვეული მოდერნიზაცია მოახდინეს შემადგენლობაში. სტოპერების ადგილი დაეთმოთ ხიზანიშვილსა და ხინჩგაშვილს, ხოლო ჩივაძემ ნახევარდაცვის ხაზში გადაინაცვლა, რამაც მას საშუალება მისცა უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღო საიერიშო ოპერაციებში.

დინამოელები მთელი ტაიმის მანძილზე უტევდნენ მეტოქეს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ამას აკეთებდნენ შეჯგუფებულად. იგრძნობოდა ნაჩქარეობა, რამაც “ქაირათის” გაძლიერებულ დაცვას საშუალება მისცა პირველი 45 წუთის მანძილზე შეენარჩუნებინა “მშრალი” ანგარიში”.

გაცილებით უფრო ეფექტურად ითამაშეს თბილისელებმა შესვენების შემდეგ. თავდასხმა გაიშალა, ნახევარმცველებს (განსაკუთრებით დარასელიას) საშუალება მიეცათ მოპირდაპირე კარის შტურმის უშუალო მონაწილენი ყოფილიყვნენ.

55–ე წუთზე თავაძემ საკმაოდ შორი მანძილიდან მოულოდნელად დაარტყა და უბიკინი ვერ მისწვდა ბურთს – 1:0. ხოლო 62–ე წუთზე კოსტავა–სვანაძის სწრაფი კომბინაცია დამთავრდა ამ უკანასკნელის უძლიერესი დარტყმით – 2:0. 76–ე წუთზე სტუმრების ერთ–ერთ კონტრშეტევას მოჰყვა შტრომბერგერის საპასუხო გოლი და თბილისის ”დინამომ” მესამე გამარჯვება ჩაიწერა მიმდინარე ჩემპიონატში – 2:1.

ჩვენს გუნდს ახლა წინა აქვს უაღრესად საპასუხისმგებლო გასვლითი მატჩი როტერდამის ““ფეიენოორდთან”. ყველა გულშემატკივარი გუნდთან ერთადაა, ვუსურვებთ დინამოელებს წარმატებას და ფინალის საგზურს.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 18 აპრილი 1981 წ.